# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/160

ქ. თბილისი 26 ივნისი 2018

**სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის, ნატო ქათამაძის სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ივ ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დადგენილ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ ნატო ქათამაძის (პ.ნ. 60001044437) სამეცნიერო ხელმძღვანელის, ბ-ნ. გურამ ყუფუნიას, ემერიტუსის წოდების მინიჭებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების გამო, 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სამეცნიერო ხელმძღვანელად ბორის გითოლენდიას ჩანაცვლების ფაქტი;
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად სტუ-ის სწავლების დეპარტამენტმა უზრუნველყოს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება;
3. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**